

ერთის მხრივ სსიპ კოლეჯი „ფაზისი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორი ნინო ბაკურაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „გელმარი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის გელა ვადაჭარიას სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი და მიწოდების ვადები:

- 1.1. ხელშეკრულების საგანია საქონლის/მომსახურების შესყიდვა.
- 1.2. საქონლის/მომსახურების დასახელება - სამრეწველო ავტომობილების დაქირავება მძღოლთან ერთად (CPV – 60182000).
- 1.3. საქონლის/მომსახურების მიწოდება განხორციელდეს 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

### 2. ხელშეკრულების ღირებულება:

- 2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - 175(ას სამოცდათხუთმეტი)ლარი. (იხ. დანართი №1).

### 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

- 3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
- 3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სასაქონლო ზედნაღების ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

### 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1. შესყიდვის საგნის ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 4.2. საქონლის/მომსახურების მიღება გაფორმდება სასაქონლო ზედნაღებით ან საგადასახადო ანგარიშფაქტურით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. მიღება-ჩაბარების აქტის დოკუმენტაციაზე ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი - ზურაბ ჯიქია.
- 4.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული პროდუქციის მიწოდების ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

### 5. მხარეთა უფლები-ვალდებულებები

- 5.1. შემსყიდველს უფლება აქვს: მიმწოდებლისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვა.
- 5.2. შემსყიდველი ვალდებულია: -მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს: -მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება.
- 5.4. მიმწოდებელი ვალდებულია: -დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

## 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 30 სექტემბრამდე.

## 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02 %-ს.

7.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 8. ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან ან ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის შხრიდან განახორციელებს თეა ზარგინავა (კოლეჯის შესყიდვების სპეციალისტი).

## 9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღებავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუზღავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12. სხვა პირობები

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ უმოკლეს დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.

12.2. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისათვის.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ კოლეჯი „ფაზისი“

ს/კ 215101716

მის: ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54

ბანკის დასახელება

სახელმწიფო ხაზინა

სუბსიდია

მიმწოდებელი :

შპს „გელმარი“

ს/კ 215108087

მის: ქ. ფოთი, ჭანტურიას ქ. №2

ბანკის დასახელება

„ვითობი ბანკი ჯორჯია“

საბანკო კოდი:

UGEBGE22

ანგარიშის ნომერი

GE92VT060000005303605

დირექტორი:



/ნინო ბაკურაძე/

დირექტორი:

/გელა ვადაქარია/

ფასების ცხრილი

№	საქონლის/მომსახურების დასახელება	კატეგორიის/ ქვეკატეგორიის კოდი	ერთეულის ფასი	სულ ჯამი
1	2	3	4	5
1	სამრეწველო ავტომობილების დაქირავება მძღოლთან ერთად	60182000	175.00	175.00
სულ ჯამი:				175.00

საქონლის/მომსახურების ღირებულება შეადგენს - 175(ას სამოცდათხუთმეტი)ლარი.

მივიღე:

სსიპ კოლეჯი „ფაზისი“

დირექტორი:



ჩავაბარე:

შპს „გელმარი“

დირექტორი:

/გელა ვადაქარია/

## ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ)

ქ. ფოთი

23 ივლისი 2020 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში მას „გელმარი“ - ს მიმართ.

სსიპ კოლეჯის „ფაზისი“

დირექტორი:



/ნინო ბაკურაძე/

შესყიდვების სპეციალისტი:



/თეა ზარგინაევა/